დანართი 1
დამტკიცებულია:
კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის
N07/01-19 (04.10.2024) ბრძანებით

პარტნიორი უნივერსიტეტის შერჩევის წესი და უცხოელი სტუდენტებისა და აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის მოზიდვის მექანიზმები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. კავკასიის უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს განათლების ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს. ამ მიზნით, უნივერსიტეტი თანამშრომლობს საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან, რომლებთანაც ახორციელებს გაცვლით (სტუდენტთა და აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის), ერთობლივი ხარისხის პროგრამებს, მოკლევადიან სასწავლო კურსებსა და სასტიპენდიო პროგრამებს, სტუდენტების მოზიდვის აქტივობებს, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო საგრანტო პროექტებში მათ ჩართულობას და სხვა.

2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს:
   - პარტნიორი უნივერსიტეტის შერჩევის წესს;
   - უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმებს;
   - უცხოელი სტუდენტებისათვის უნივერსიტეტში არსებულ სერვისებს;
   - უცხოელი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მოზიდვის მექანიზმებს;
   - ფონდების მოზიდვის მექანიზმებს.

3. საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე წესით, განისაზღვრება უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 2. პარტნიორი უნივერსიტეტების შერჩევა

უნივერსიტეტი, ინტერნაციონალიზაციის მიზნებიდან გამომდინარე, ახორციელებს საერთაშორისო პარტნიორების მოძიებას სხვადასხვა სტრატეგიული ამოცანების განსახორციელებლად.

საერთაშორისო პარტნიორის შერჩევის პროცესში უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი კრიტერიუმ(ებ)ით:

- ღირებულებები და თანამშრომლობის მიზნები;
- სწავლების ხარისხი და აკადემიური სტანდარტები;
- საგანმანათლებლო პროგრამების თავსებადობა;

- კრედიტების მინიჭებისა და აღიარების უზრუნველყოფა;
- ფინანსური მდგრადობა;
- კვლევითი პოტენციალი;
- საერთაშორისო აღიარება და რეიტინგები;

თანამშრომლობის მიზნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადგენს თუ რომელი კრიტერიუმია პრიორიტეტული, რის საფუძველზეც ხდება პარტნიორი უნივერსიტეტის შერჩევა.

მუხლი 3. უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმები

1.კავკასიის უნივერსიტეტი ინტერნაციონალიზაციის მიზნების შესაბამისად ახორციელებს უცხოელი სტუდენტების მოზიდვას.

2. ინტერნაციონალიზაციის მიზნების გათვალსიწინებით, უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით, უნივერსიტეტი შესაბამისი სკოლებისა და დეპარტამენტების ჩართულობით განსაზღვრავს ინგლისურენოვან პროგრამებს

3. უნივერსიტეტი პერიოდულად ახორციელებს საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზრის კვლევას და ახდენს იმ ქვეყნების იდენტიფიცირებას, საიდანაც სურს უცხოელი სტუდენტების მოზიდვა.

4. სტუდენტების მოზიდვის მიზნით, უნივერსიტეტი ახორციელებს ბეჭდური/ელექტრონული მარკეტინგული მასალების მომზადებასა და სამიზნე ჯგუფებთან გავრცელებას, ინფორმაციის სხვადასხვა საერთაშორისო პორტალ(ებ)ზე განთავსებას, მონაწილეობას იღებს საერთაშორისო გამოფენებსა და ფორუმებში, ასევე ცნობადობის გაზრდის მიზნით, ახორციელებს შესაბამის კამპანიას სამიზნე ქვეყნებში.

5. სტუდნეტების მოზიდვის მიზნით, უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში აკირედიტებულ დიპლომატიურ მისიებთან და საქართველოს საელჩოებთან უცხოეთში, და სხვა რელევანტურ უწყებებთან.

6. უნივერსიტეტი მოიძიებს და აყალიბებს პარტნიორი აგენტების, ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტების ქსელს, აფორმებს თანამშრომლობის ხელშეკრულებას შუამავალ ორგანიზაციებთან/სააგენტოებთან და უნივერსიტეტებთან.

მუხლი 4. უცხოელი სტუდენტებისთვის მოზიდვის ხელშეწყობისთვის არსებული სერვისები

1. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი უცხოელი სტუდენტებისთვის უზრუნველყოფს მხარდამჭერ სერვისებს, კერძოდ, ახორციელებს სავიზო პროცედურისთვის საჭირო დოკუმენტების მიწოდებას, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ჩარიცხვის წესის შესაბამისად დოკუმენტაციის მომზადებას; დახმარებას უწევს საცხოვრებლის მოძიების პროცესში

თავად ან/და შუამავალი ორგანიზაციის/სააგენტოს საშუალებით; უზრუნველყოფს სავალდებულო დაზღვევის პაკეტის შეთავაზებასა და სხვა ჩამოსვლამდე და ჩამოსვლის შემდგომ საჭირო პროცედურების გავლას.

2. კავკასიის უნივერსიტეტის შესაბამისი სკოლებისა და დეპარტამენტების ჩართულობით ხორციელდება უცხოელი სტუდენტებისთვის აკადემიური სერვისების მიწოდება, აგრეთვე მათი ინფორმირება უნივერსიტეტში არსებული რეგულაციებისა და წესების თაობაზე. სტუდენტთა მომსახურებისა და სასწავლო პროცესის მონიტორინგის დეპარტამენტის შესაბამისი თანამშრომელი (აკადემიური მენეჯერი) უზრუნველყოფს უცხოელი სტუდენტების დახმარებას აკადემიურ პროცესთან დაკავშირებულ ყველა საჭირო საკითხზე.

3. უცხოელი სტუდენტების ინტეგრაციის მიზნით შესაბამისი დეპარტამენტების მხრიდან იგეგმება და ხორციელდება სოციალური და კულტურული აქტივობები (სტუდენტური კლუბები, ელჩების პროგრამა და სხვა) რომლებიც მიზნად ისახავენ სტუდენტურ ცხოვრებაში მათი ჩართულობის გაზრდას.

4. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი ყოველი სემესტრის დაწყებამდე გეგმავს და ახორციელებს საორიენტაციო შეხვედრებს უცხოელ სტუდენტებთან მათი საჭიროებების დადგენისა და სხვადასხვა სახის სტუდენტურ აქტივობებში ჩართულობის უზრუნვეყოფის მიზნით.

მუხლი 5. უცხოელი აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის მოზიდვის მექანიზმები

1. კავკასიის უნივერსიტეტი, ინტერნაციონალიზაციის მიზნების შესაბამისად, ახორციელებს უცხოელი აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალის (შემდგომში „პერსონალი“) მოზიდვას. ამ მიზნით:

- უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებთან და პროფესიულ ქსელებთან;
- სკოლები განსაზღვრავენ იმ პროგრამებს/კურსებს, რომლებზეც სურთ უცხოელი პერსონალის მოწვევა. აღნიშნულის შესახებ სკოლა ატყობინებს ფინანსურ დეპარტამენტს, პერსონალის მართვის დეპარტამენტსა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს.
- საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი პარტნიორ უნივერსიტეტებთან იწყებს კომუნიკაციას და შერჩევის პროცესს. ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ ასევე ავრცელებს პროფესიული ქსელის წევრ უნივერსიტეტებთან.
- აღნიშნული მოთხოვნის შესახებ ინფორმაციას ანთავსებს სხვადასხვა პორტალებზე, საჭიროების შემთხვევაში, ამზადებს ბეჭდურ მასალებს.

- ფორმდება თანამშრომლობის ხელშეკრულებები ერაზმუს+ ის ფარგლებში დაფინანსებული მობილობის პროექტების მოპოვების მიზნით.
- ფორმდება თანამშრომლობის ხელშეკრულება უნივერსიტეტებთან სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში (Fulbright, DAAD და სხვა)

2. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი უცხოელი პერსონალისთვის უზრუნველყოფს მხარდამჭერ სერვისებს, კერძოდ, ახორციელებს სავიზო პროცედურისთვის საჭირო დოკუმენტების მიწოდებას, ასისტირებას უწევს საცხოვრებლის მოძიების პროცესში, სოციალური აქტივობების დაგეგმვას და აშ.

მუხლი 6. ფონდების მოზიდვის მექანიზმები

1. კავკასიის უნივერსიტეტის პროექტების მართვის დეპარტამენტი და კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი ახორციელებენ საერთაშორისო ფონდების მოზიდვის ხელშეწყობას ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფის მიზნით. ფონდების მოზიდვის ღონისძიებები მოიცავს პროგრამებს, ღონისძიებებს, კვლევითი მობილობის გრანტების და სტიპენდიების, სპონსორების მოზიდვის სხვადასხვა ფორმებს. მსგავსი ღონისძიებები შეიძლება დაფინანსებული იქნას საერთაშორისო და ადგილობრივი დონორი ორგანიზაციების, მთავრობის, ფიზიკური პირებისა და ბიზნესსუბიექტების მიერ.
2. კავკასიის უნივერსიტეტში ფონდების მოზიდვის ღონისძიების ინიციატორი შეიძლება იყოს როგორც კავკასიის უნივერსიტეტის აქტიური სტუდენტი, ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი, ასევე დონორი მხარის აქტიური და უფლებამოსილი წარმომადგენელი. ფონდების მოზიდვის დაგეგმილი ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს კავკასიის უნივერსიტეტის სტრატეგიულ ამოცანებს.
3. კავკასიის უნივერსიტეტის პროექტების მართვის დეპარტამენტი და კვლევის ხელშეწყობის დეპარანეტი ახდენს უნივერსიტეტის საკონტაქტო ქსელის ცენტრალურ მართვასა და მონიტორინგს საუნივერსიტეტო შესაძლებლობების გაზრდის მიზნით. არსებული საუნივერსიტეტო პარტნიორები მოიცავენ შემდეგ ორგანიზაციებს: საერთაშორისო ორგანიზაციების მისიები და საელჩოები, ევროკომისსია, GIZ, EU, EC, USAID, გაეროს სამდივნო, UNDESA, გაეროს პარტნიორობის ოფისი (UNDP), გლობალური შეთანხმების ოფისი, შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი და სხვ.
4. საერთაშორისო ფონდების მოზიდვის მიზნით:

- უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ უცხოურ უნივერსიტეტებთან და პროფესიულ ქსელებთან, კვლევით ორგანიზაციებთან, ადგილობრივ და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და საქართველოს დიპლომატიურ კორპუსთან. რეგულარულად მონაწილეობს სხვადასხვა დონორის,

მთავრობის ან სხვა ინსტიტუციის მიერ ინიცირებულ ღონისძიებებში, რომლებიც გასცემენ დაფინანსებას სხვადასხვა პროექტების განხორციელების მიზნით.

- უნივერსიტეტი აქტიურად ახორციელებს ფონდების მოძიებას საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალური ვებ-გვერდების, სოციალური ქსელების, პარტნიორების მხრიდან მიღებული საინფორმაციო ბიულეტენების, პორტალებისა და სხვა საშუალებებით.
- უნივერსიტეტი აქტიურად მონაწილეობს ERASMUS+ პროგრამაში, მონაწილეობს საინფორმაციო შეხვედრებში, საკონტაქტო სემინარებში, ტრენინგებში და ყოველწლიურად წარადგენს საპროექტო განაცხადებს შერჩეულ პროგრამებზე (CBHE, Jean Monnet, ICM, JMD etc.).
- უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდთან. ესწრება ფონდის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებს, ავრცელებს ინფრომაციას კონკურსების შესახებ, რეგისტრირებულია ფონდის პროტალზე და აშ.
- უნივერსიტეტი აქტიურად ავრცელებს ინფორმაციას გამოცხადებულ საგრანტო კონკურსებზე, მათ შორის საერთაშორისო კვლევით პროგრამებზე მეცნერებისა და პროფესორებისათვის.
- უნივერსიტეტი აქტიურ დახმარებას უწევს აკადემიურ, სამეცნიერო, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალს გრანტების მოძიებასა და მოპოვებაში, ასევე საკონკურსო განაცხადების წარდგენის პროცესში.

5. კავკასიის უნივერსიტეტის პროექტების მართვის დეპარტამენტი და კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი პასუხისმგებელია კავკასიის უნივერსიტეტში ფონდების მოძიების პროცესის მხარდაჭერაზე. უნივერსიტეტში მოქმედებს საპროეტო განაცხადის წარმოდგენის და შერჩევის ცენტრალიზებული წესი. საერთაშორისო პროექტების მართვის დეპარტამენტი და კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტი, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ადასტურებენ სკოლებისა და/ან დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებებს.